PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი ფაზისი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №258006 ბრძანების (19.03.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ირმა ღარიბაშვილი - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (განხორციელების ადგილი ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ.№54).

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 7 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების სივრცეების გადამოწმება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე) არ ყოფილა*

–

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1.

- სასურველია, კოლეჯმა შიდა რეგულაციებში დეტალურად აღწეროს პროგრამის შემუშავების პროცესი და საქმიანობისას იხელმძღვანელოს ამ პროცესით, რათა მომავალში გამოირიცხოს ხარვეზები;

- სასურველია, მემორანდუმებს თანდართულ დოკუმენტად დაერთოს კიდევ ერთი დანართი, იმ ხელსაწყო-დანადგარების ჩამონათვალის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა და სწავლის შედეგების დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება №01/54, 03/08/2018 წელი ცვლილების ბრძანება №01/175, 27/11/2019 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, კონსტიტუციის №54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ადგილების რაოდენობა -15; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -15; გაზრდილი მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა -30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**სრული შესაბამისობა**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ მოპოვებული ადგილების რაოდენობაა -15 პროფესიული სტუდენტი; დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -15; ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობაა -30 პროფესიული სტუდენტი.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

კერძოდ:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო, მისამართზე - ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54.

C გარემო - პრაქტიკული სწავლებისათვის განსაზღვრული გარემოს ფართი არის - 49,2 კვ.მ. პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური - ტექნიკური ბაზით, რომელიც ვიზიტის პროცესში შემოწმდა ექსპერტთა მიერ. სიმაღლე 4 მ-ია. გარემოში გამოყოფილია 5 შედუღების კაბინა. თვითოეულ კაბინაში განთავსებულია შესადუღი დანადგარი თავისი გამწოვებით.

A გარემო - თეორიული სწავლებისათვის განსაზღვრული გარემოს ფართი არის - 36,4 კვ.მ. მოცემულ გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. ადგილების რაოდენობა ვიზიტის პროცესში შემოწმდა ექსპერტთა მიერ.ასევე პროგესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. გარემო უზრუნველყოფილია პროექტორით, დაფით, ეკრანით.

B სასწავლო გარემო - (აუდიტორია N211) 22 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი კომპიუტერული კლასი, შესაბამისი აღჭურვილობით მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება1“განსახორციელებლად.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან:</u>

- [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- შპს ,,გეო მეტალიქს“;
- შპს ,,მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ოთხ მოდულში (შედუღების პროცესის მასალების მომზადება, ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში, შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები, შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში) მითითებულია, რომ მოდულის პრაქტიკული კომპონენტის გავლა განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში. ორ კომპანიასთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში მითითებულია, რომ კომპანია სამი მოდულის ფარგლებში მიიღებს პროფესიულ სტუდენტებს. მემორანდუმის ჩანაწერებში უნდა დაემატოს მეოთხე მოდული - შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში.
აღნიშნული გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებას მიეცა <u>რეკომენდაცია</u>
შიდა რეგულაციებში დეტალურად აღწეროს პროგრამის შემუშავების პროცესი და თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს ამ პროცესით, რათა მომავალში გამოირიცხოს ხარვეზები.

[redacted]ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2018 წლის 02 აგვისტოს. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ მიიღოს 4 სტუდენტი შემდეგი მოდულების ფარგლებში - შედუღების პროცესის მასალების მომზადება, ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში, შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ დამატებით გაფორმებულია შეთანხმება (06.08.2018 წ.), სადაც გაწერილია, რომ კომპანია მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს. კომპანია ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ხელს ასევე შეუწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელს. კოლეჯი კომპანიაში წარადგენს სასწავლო გეგმას და მოდულებს პროფესიული სტუდენტის საწარმოში მივლინებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

შპს „გეო მეტალიქსთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2018 წლის 02 აგვისტოს. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ მიიღოს 6 სტუდენტი შემდეგი მოდულების ფარგლებში - შედუღების პროცესის მასალების მომზადება, ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში, შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ დამატებით გაფორმებულია შეთანხმება (06.08.2018 წ.), სადაც გაწერილია, რომ კომპანია მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებას. კოლეჯი კომპანიაში წარადგენს სასწავლო გეგმას და მოდულებს პროფესიული სტუდენტის საწარმოში მივლინებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა.

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 2018 წლის 02 აგვისტოს. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ. კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ მიიღოს 5 სტუდენტი შემდეგი მოდულების ფარგლებში - შედუღების პროცესის მასალების მომზადება, ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში, შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ დამატებით გაფორმებულია შეთანხმება (06.08.2018 წ.), სადაც გაწერილია, რომ კომპანია მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებას. კოლეჯი კომპანიაში წარადგენს სასწავლო გეგმას და მოდულებს პროფესიული სტუდენტის საწარმოში მივლინებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში დანართის სახით წარმოდგენილია პრაქტიკის გავლის ადგილი მოდულის, შედეგებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მემორანდუმი ზოგადი დოკუმენტია და არ ითვალისწინებს ისეთი საკითხების მოცვას, რაც ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, მაგრამ ვინაიდან უკვე არსებულ მემორანდუმებს თან ახლავს დანართები **სასურველია,** მემორანდუმებს თანდართულ დოკუმენტად დაერთოს კიდევ ერთი დანართი, იმ ხელსაწყო-დანადგარების ჩამონათვალის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა და სწავლის შედეგების დადასტურება.

დისტანციური გასაუბრების დროს ინტერვიურება განხორციელდა შპს ,,მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას“ წარმომადგენელთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში დიდი ხანია თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. საწარმოში სამუშაოები მუდმივად არის. ისინი მუშაობენ როგორც ფერად ლითონებზე, ასევე შავ ლითონებზე. მათ შეუძლიათ მიიღონ ყოველდღიურად 10 პროფესიული სტუდენტი. დასაქმებული ყავთ კოლეჯის 3 კურსდამთავრებული. კომპანია აფინანსებს სასერთიფიკატო ტრენინგებს და ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

ინტერვიურება განხორციელდა ასევე შპს ი/მ ,,დავით ჩიტიანთან“. საწარმოს გააჩნია სხვადასხვა სახის შედუღების დანადგარები. საუბრის დროს აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს საწარმოში უსაფრთხო გარემოს შექმნას, ამ მხრივ ნიშანდობლივია რომ ლითონის საჭრელი დანადგარების (დისკის) პირები დაცული იყო სპეციალური თავით. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებას პროგრამის განხორციელებაში.

ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ საჩუქრად გადასცა შედუღების სიმულატორი, რომლის გამოყენება ხდება სწავლების პროცესში. პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაიარეს სიმულატორზე მუშაობის ტრენინგი.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი საგანმნათლებლო სივრცე და საწარმოო პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობა და აღჭურვილობა უზრუნველყოფს 15-15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას ორ ცვლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა არის - 9, მათ შორის ზოგადი მოდულების - 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი (1 - ქართული ენა , 1 - მეწარმეობა, 2 - დარგობრივი კომუნიკაცია, 2 - უცხო ენა). პროფესიულ მოდულებზე სწავლებას განახორციელებს - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით, საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირების სხვა პროგრამებში ჩართულობის შესახებ. კერძოდ, ზოგადი მოდულების განმახორციელებლები ჩართულები არიან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშიც, მხოლოდ ზოგადი კომპონენტის განხორციელების ნაწილში. მათი კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება დაწესებულების მიერ დადგენილ ზღვარს (40 სთ). ამასთან, სასწავლო გეგმების შესაბამისად შედგენილი მოქნილი სასწავლო გრაფიკებით (ცხრილები) უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება.

<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ უკვე მესამე წელია წარმატებით ხორციელდება კოლეჯში. შესაბამისად პროგრამის განმახორციელებლებად განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, პერიოდულად ხდება მათი გადამზადება და მათთვის სიახლეების გაცნობა. კოლეჯს ყავს ორი ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერიოდულად უტარდება ტრენინგები როგორც კოლეჯის მხრიდან, ასევე მასწავლებელთა სახლის მიერ. ტრენინგები ჩატარდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ. შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა პირადი საქმით დასტურდება მათი კვალიფიკაცია.
<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.</u>

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანებით (№01/18, 12.03.2021) დანიშნული ხელმძღვანელები, რომლთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან დისტანციური გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა კოლეჯის დირექტორის ბრძანების №01/18 (12.03.2021) დანართი1 გადმოგზავნა, რომელშიც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებია გაწერილი. დაწესებულებამ გასაუბრების მომენტშივე გადმოაგზავნა აღნიშნული დანართი, რომლის მიხედვითაც: პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავების, მოდულების ადაპტირების, კალენდარული გეგმების შედგენის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში, **ასევე უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერთან პროფესიული მასწავლებლებლების მიერ შემუშავებული კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმებას** და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ანგარიშის წარდგენას კოლეჯის დირექტორის მოადგილისთვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, გაჩნდა შეკითხვა - ხომ არ ხდება ხარისხის მენეჯერის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტი. პასუხად, აღმოჩნდა, რომ გადმოგზავნილი დანართი ძველი ძალადაკარგული ბრძანების დანართი იყო და შეცდომით მოხდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
მისი გადმოგზავნა, ხოლო კოლეჯის დირექტორის ბრძანების №01/18 (12.03.2021) დანართი1 არ შეიცავს ჩანაწერს **ხარისხის მართვის მენეჯერთან პროფესიული მასწავლებლებლების მიერ შემუშავებული კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმებას და შესაბამისად,** გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს ხარისხის მენეჯერის მხრიდან.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ 2020 წლის ნოემბრის თვეში მან გაიარა ტრენინგი „სწავლების პროცესში სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება, შედეგების სიმულატორზე“ (GIZ-გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება). მისი კვალიფიკაცია - ტექნიკოს-მშენებელი და გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ყავს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

დისტანციური გასაუბრების ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მხრიდან.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთ-ერთი დაშვების წინაპირობაა - „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV - 100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“. აღნიშნული საქმიანობა შედის „მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ ჩამონათვალში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №147/ნ (2007 წლის 3 მაისი)). აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემზღუდველია პროფესიულ პროგრამაზე სსსმ პირთა ჩარიცხვის დროს. აღსანიშნავია, რომ შენობა ადაპტირებულია შშმ პირებზე, რაც დადგინდა ვიზუალური დათვალიერებისას.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა მოთხოვნით დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილში მოცემულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვით ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება და სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები (ვაუჩერული დაფინანსებიდან) და ასევე, ადმინისტრირების და კომუნალური ხარჯი (პროგრამული დაფინანსებიდან). რენტაბელობის ზღვარია 15.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ბიუჯეტით დასტურდება, რომ საგანმანათლებო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ კოლეჯის ფაზისი პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ კოლეჯის ფაზისი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დისტანციურად საგანმანათლებლო და პრაქტიკის ობიექტების სივრცეების დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

13.05.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---